საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 7 19 00176062

23/01/2019

"ადამიანის უფლებების სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი" დირექტორს
ქალბატონ თამთა მიქელაძეს

მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის №12ბ

ქალბატონო თამთა,

2019 წლის №g01/01/2019 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილით წარმოდგენილ "DVD" დისკზე არსებულ ფოტოსურათზე გამოსახული პირი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, არის სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სახაზო-საპატრულო სამმართველოს (ვაკე-საბურთალო) უფროსი - გრიგოლ გადელია.

ასევე გაცნობებთ, რომ სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარ სამმართველოში, მოქალაქე - მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ, 2018 წლის 11 სექტემბერს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ გამართული საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სავარაუდოდ ჩადენის ფაქტზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით. საქმისწარმოების პროცესში, მოქალაქე - მალხაზ მაჩალიკაშვილის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა. 2019 წლის 11 იანვარს ამოიწურა ადმინისტრაციული სახდელის დადების 4 თვიანი ვადა, შესაბამისად მოცემულ ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოში, მოქალაქე - მალხაზ მაჩალიკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str. Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge